

თავისუფალი ვაჭრობა – საკეთესო პოლიტიკაა

პროტექციონიზმის საშიშროება მთელს მსოფლიოში იზრდება.

ეს ყოველთვის სახიფათო და უგუნური პოლიტიკაა, მაგრამ განსაკუთრებით საშიშია ეკონომიკური კრიზისის დროს, როდესაც ის ემუქრება მსოფლიო ეკონომიკას.

პროტექციონიზმის სახასიათო არგუმენტი გულისხმობს, რომ “ქვეყნის კეთილდღეობა გაიზრდება, თუკი ადგილობრივი მწარმოებლები, მთავრობისაგან მონოპოლიურ უფლებებს მოიპოვებენ”.

საუკუნეების გამოცდილება, ეკონომიკური თეორია და ემპირიული კვლევების შედეგები კი ერთმნიშვნელოვნად ამტკიცებენ, რომ ეს მოსაზრება საფუძველშივე მცდარია: პროტექციონიზმი ხელს უწყობს სიღარიბეს და არა კეთილდღეობას; პროტექციონიზმი არა თუ ხელს უწყობს წარმოებას, არამედ ანადგურებს მას, რადგან ზიანს აყენებს, როგორც საექსპორტო წარმოებას, ასევე იმპორტს რომელიც ადგილობრივი წარმოებისთვისაა აუცილებელი. მაგალითად: ხელოვნურად ფასების ზრდას რკინაზე, რომელიც თითქოს ადგილობრივი ნედლეულის დაცვას ემსახურება, მიყვარათ ავტომობილების და ყველა სხვა პროდუქციის წარმოების გაძვირებამდე, რომელთა დასამზადებლადაც აუცილებელია ეს რკინა. მოკლედ, პროტექციონიზმი იმასაც ზიანს აყენებს, რის დაცვასაც მისი საშუალებით ცდილობენ.

მაგრამ კეთილდღეობის დაკნინება პროტექციონიზმის ყველაზე ცუდი შედეგი როდია: პროტექციონიზმი საფრთხეს უქმნის მშვიდობას.

ნებისმიერი ადამიანისთვის, რომლისთვისაც სულერთი არაა ცივილიზაციის მომავალი და მნიშვნელოვანია მშვიდობა, ეს არგუმენტი სრულიად საკმარისია, რათა ხმა აიმაღლოს ეკონომიკური ნაციონალიზმის, ამ იდეოლოგიური კონფლიქტის წინააღმდეგ, რომელიც გამოწვეულია ადამიანური უმეცრებით და პროტექციონიზმის სახით გვევლინება.

ორას ორმოცდაათი წლის წინ მონტესკიემ აღნიშნა: “მშვიდობა თავისუფალი ვაჭრობის ბუნებრივი შედეგია. ერთმანეთთან მოვაჭრე ერები თანაბრად ურთიერთდამოკიდებულნი ხდებიან: თუკი ერთისთვის ხელსაყრელია შესყიდვა, მეორესათვის ხელსაყრელია გაყიდვა და მათი კავშირ-ურთიერთობები დამოკიდებულია ურთიერთსარგებელზე.

ვაჭრობის ყველაზე ძვირფასი შედეგი მშვიდობაა!

ვაჭრობა ხელს უწყობს მშვიდობას, რადგან განსხვავებულ ადამიანებს აკავშირებს საერთო საქმიანობით და ყოველდღიური აუცილოებლობით იურთიერთონ, პატივი სცენ და ისწავლონ სხვა ხალხების ენები, სოციალური ნორმები და კანონები; გაერკვნენ სხვა, უცხო ადამიანების მოლოდინებში, მოთხოვნილებებსა და შესაძლებლობებში.

ვაჭრობის საშუალებით არა მარტო პარიზისა და ლიონის, ბოსტონისა და სიეტლის, კალკუტასა და ბომბეის ეკონომიკური ინტერესები კვეთენ ერთმანეთს, ასევე საერთო ინტერესები უჩნდება პარიზსა და პორტლენდს, ბოსტონსა და ბერლინს, კალკუტასა და კოპენჰაგენს - საერთოდ ყველა ერს, რომლებიც არა მხოლოდ შიდა, არამედ საერთაშორისო ვაჭრობას მისდევენ.

მკაცრი ემპირიული კვლევები ამტკიცებენ, რომ ვაჭრობა ხელს უწყობს მშვიდობას.

აღბათ მეორე მსოფლიო ომია იმის ყველაზე საშინელი მაგალითი თუ რა შეიძლება მოყვეს ამ პრინციპის უგულველყოფას: 1929 წლიდან 1932 წლამდე საერთაშორისო ვაჭრობა

შემცირდა 70 პროცენტით. მნიშვნელოვანი როლი ამაში ითამაშა 1930 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში მიღებულმა კანონმა საბაჟო ტარიფების ზრდის შესახებ და სხვა სახელმწიფოების მიერ გატარებულმა საპასუხო სანქციებმა.

ეკონომისტი მარტინ ვოლფი აღნიშნავს: სავაჭრო კავშირების დარღვევა იყო მნიშვნელოვანი სტიმული რათა დაწყებულიყო სწრაფვა ავთარკიისა და საარსებო სივრცს მოსაპოვებლად განსაკუთრებით გერმანიასა და იაპონიაში.

ამის პირდაპირი შედეგი იყო ყველაზე საშინელი და მომაკვდინებელი ომი კაცობრიობის ისტორიაში – მეორე მსოფლიო ომი.

ომის საშიშროების შემცირებით, ვაჭრობას შეუძლია გადაარჩინოს ადამიანების სიცოცხლე.

ადამიანების სიცოცხლის გადასარჩენად გაცვლითი საქმიანობა უდიდეს როლს თამაშობს იმითაც, რომ მას მოაქვს კეთილდღეობა უფრო მეტი და მეტი ადამიანისთვის. ჩვეულებრივ ადამიანებს უნდებათ შესაძლებლობა იცხოვრონ უფრო ხანგრძლივად და ჯანმრთელად. ასეთი ცხოვრება კი, მსოფლიო ეკონომიკაში ჩაბმულ ადამიანებს მეტ თავისუფლებას აძლევს უდიდეს კულტურულ სიმდიდრეებთან კავშირის დასამყარებლად, რაც ასევე თავისუფალი ვაჭრობის დამსახურებაა. კულტურები უფრო მდიდრდებიან მთელს მსოფლიოში, რაც ასევე წარმოებისა და იღების თავისუფალი გაცვლის შედეგია.

ექვგარეშეა, რომ თავისუფალი ვაჭრობა ზრდის მატერიალურ კეთილდღეობას.

ერთის მხრივ მისი სიკეთე არ იზომება მარტო ფულით. ის საშუალებას აძლევს ადამიანებს იცხოვრონ თავისუფალი, სრულფასოვანი ცხოვრებით ომისგან გამოწვეული ყოველგვარი სიღუბის გარეშე.

აქედან გამომდინარე, ჩვენ ქვემოთ ხელმომწერი თანამოაზრეები მივმართავთ ყველა ქვეყნის ხელისუფლებას, რომ ხმა აიმაღლონ “ახლომხედველ” და “ხარბ” პოლიტიკოსებზე, რომლებიც თავისუფალი ვაჭრობისთვის ბარიერების დაწესებას მოითხოვენ.

ასევე მოვუწოდებთ მათ, რომ გააუქმონ თავისუფალი ვაჭრობის ხელისშემშლელი სადღეისოდ არსებული ყოველგვარი პროტექციონისტული ბარიერები.

მივმართავთ ყველა ხელისუფალს: მიეცით უფლება თქვენი ქვეყნის მოქალაქეებს, რომ დატკნენ არა მარტო თქვენი ქვეყნის მკვიდრთა ნიჭით, მიწის ნაყოფითა და მრეწველობის ნაწარმით, არამედ ამავე სიკეთეებით მთელი მსოფლიოს მაშტაბით.

ჯილდო კი იქნება უდიდესი კეთილდღეობა, მდიდარი ცხოვრება, წარმატებითა და მშვიდობით ტკობა.